# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 20/12/16

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ „ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი,, მისი დირექტორის ქეთევან ალიბეგაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ აუდიტორული ფირმა შპს „რიალ აუდიტი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან არსენაშვილის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი") „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების (3-ერთეული სატრანსპორტო საშუალება) შეფასება (CPV-79212000 აუდიტორული მომსახურება).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საბიუჯეტო გადასახადების გათვალისწინებით, შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

## 3. მომსახურების გაწევის ვადები და მიღება-ჩაბარების წესი. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მომსახურების ფაქტობრივი გაწევისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს ყაზბეგის რესურსცენტრი

## 4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 2 საბანკო დღისა.

## 5. მხარეთა ვალდებულებანი

5.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეები ეცდებიან ურთიერთობა მოაგვარონ მოლაპარაკების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით (ეს წესი არ ვრცელდება ფორსმაჟორულ სიტუაციაზე: სტიქიური უბედურებები, სამოქალაქო კონფლიქტები და ა. შ.).

## 6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითო-თითო მხარეებისათვის და მათ გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი"

ყაზბეგის საგანმანათლებო რესურს ცენტრი

მისამართი: დაბა სტეფანწმინდა

ტელეფონი 591900622

საიდენტიფიკაციო ნომერი: 241494450

ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიში: 200122900

დირექტორი

ქ. ალიბეგაშვილი

ბ.ა.

„მიმწოდებელი"

შპს „რიალ-აუდიტი"

მისამართი: თბილისი, გ. ქიქოძის ქ. № 6/17

ტელეფონი: 599 56 72 60

საინდენტიფიკაციო კოდი: 204566996

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწ. ანგარიში: GE13 TB52 5113 6080 1000 05

დირექტორი

ა. არსენაშვილი

ბ.ა.